*პროექტი*

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო**
**განკარგულება №**
**---სექტემბერი 2024 წელი**

**ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ავთო ვარაზის ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის ავთო ვარაზის I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ვაკის რაიონში, ავთო ვარაზის ქუჩასთან არსებულ უსახელო ჩიხს მიენიჭოს ავთო ვარაზის I ჩიხის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**საკრებულოს თავმჯდომარე** **გიორგი ტყემალაძე**


X:476503 Y:4620285
ავთო ვარაზის I ჩიხი
X:476981 Y:4620081

**სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო**

22 ვახტანგ გორგასლის ქუჩა
0114 თბილისი, საქართველო
+995 32 240 54 05
info@napr.gov.ge

3.VIII.24

17-03242626 6-03
06-03242424-03

**27 / აგვისტო / 2024 წ.**

KA011730094066424

№ **191922**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ გიორგი ტყემალაძეს

ბატონო გიორგი,

გაცნობებთ, რომ 2024 წლის 22 აგვისტოს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს N M24013692 განცხადებით მომართა მოქალაქე გიორგი მამულაიშვილმა (პ/ნ: 01030003352) რომლითაც მოითხოვა ნუმერაციის წარმოშობის რეგისტრაცია შემდეგ უძრავ ნივთზე, მისამართით: ქალაქი თბილისი, ფერდობი ნუცუბიძე, მიკრო/რაიონი IV, ზემო პლატო, (ნაკვეთი 01/066 ) (საკადასტრო კოდით N 01.14.01.001.175).

საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში დაცული მონაცემების თანახმად, უძრავი ნივთის (საკადასტრო კოდით: 01.14.01.001.175) მიმდებარედ არსებულ გეოგრაფიულ ობიექტს არ გააჩნია ქუჩის სახელწოდება. „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის $20^2$ მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად - „დაუშვებელია იმ გეოგრაფიული ობიექტის ნუმერაცია, რომელიც არ არის სახელდებული საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით“. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის N239 დადგენილების მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და ამავე მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, გთხოვთ თქვენი კომპეტენციის ფარგლებში განიხილოთ და განახორციელოთ აღნიშნული გეოგრაფიული ობიექტის სახელდება.

დანართი: 1 (ერთი) გვერდი

პატივისცემით,

სამისამართო დეპარტამენტის უფროსი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ნინო ბახია

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-032426057**
თარიღი: **16/09/2024**

**ადრესატი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
**მისამართი:** თბილისი, შარტავას ქ. N7

სააგენტოს უფროსს ბატონ ვიქტორ წილოსანს

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი სამისამართო დეპარტამენტის უფროსის ნინო ბახიას 2024 წლის 29 აგვისტოს საქმე #06-03242424-03 დაკავშირებით, რომლითაც გიორგი მამულაიშვილის N M24013692 განცხადების საფუძველზე მოთხოვნილია უსახელო გეოგრაფიული ობიექტების სახელდება (ს.კ.01.14.01.001.175).
გთხოვთ, შეისწავლოთ დანართში ჩვენს მიერ არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორია და გამოგვიგზავნოთ უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სიტუაციური ნახაზი დანართისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 3 (სამი) გვერდი.

ლევან აბაშიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01242622489**
თარიღი: **18/09/2024**

**ადრესატი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
**მისამართი:** თავისუფლების მოედანი N2

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე

ბ-ნ ლევან აბაშიძეს

მის: თავისუფლების მოედანი #2

ტელ:+995(32)2 15 92 92

ბატონო ლევან,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი 16.09.2024 წლის #03-032426057 (16.09.2024 წ. #14-01242603121-16) განცხადება, რომლის პასუხადაც მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული დასახლების, სკვერის, სპორტული მოედნის, გზის, ჩიხების, შესახვევისა და გასასვლელების მითითებით. (იხ. დანართი)

პატივისცემით,

ვიქტორ წილოსანი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი